საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №33

2024 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

თავდაცვის კოდექსის 138-ე მუხლის მე-11 ნაწილის, 144-ე მუხლის მე-8 ნაწილის, 145-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 149-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების გამოყენების წესი (დანართი №1);

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხა (დანართი №2);

გ) დისციპლინური ოქმის ფორმა (დანართი №3);

დ) დისციპლინური ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ნუსხა (დანართი №4);

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირების ნუსხა (დანართი №5);

ვ) სადისციპლინო საბჭოების რაოდენობა, ტერიტორიული განსჯადობა და შემადგენლობა (დანართი №6).

მუხლი 2

ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2 გავრცელდეს ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე დაწყებულ დისციპლინურ წარმოებაზე თავდაცვის კოდექსის 135-ე მუხლით დადგენილ დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმის უკუძალის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სადისციპლინო წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის №23 ბრძანება.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**